ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/09122019/2

ქ. თბილისი **09 დეკემბერი, 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში: , ანგარიში NGE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **ინდივიდუალური მეწარმე „ეკა იოსელიანი“-ს** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ბახტრიონის ქ. N22; ტელეფონის ნომერი: 577 455 850; ს/კ: 01026010593, სს „თიბისი ბანკი“, კოდი №TBCBGE22, ა/ა №GE64TB7253036010100016

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 **ხელშეკრულების საგანია** სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ღონისძიების ორგანიზების **(CPV79952000 - ღონისძიებების ორგანიზება)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი უფროსის 2019 წლის 4 დეკემბრის N150092-21 მოხსენებითი ბართის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 09 დეკემბრის №4789 განკარგულების საფუძველზე (**SMP190004582**).

1.2 შესყიდვის ობიექტია: სსიპ შემოსავლების სამსახურის გეზი „თბილისში“ ჩეხეთის საბაჟო ადმინისტრაციისა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით - „საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების" პროექტის დახურვის ცერემონიის ორგანიზება (დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **23 747.40 (ოცდასამი ათას შვიდასორმოცდაშვიდი ლარი და 00 თეთრი)** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და გადასახადების ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მიწოდების ვადები და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2019 წლის 10 დეკემბერს, გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“-ში, მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

5.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 გაუწიოს „შემსყიდველს“ უნაკლო მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხოდ გაწეული მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა, ან დაგვიანებით განხორციელდა შესაბამისი ხარისხის მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;
13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2020 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „შემოსავლების სამსახური"	**ი.მ. „ეკა იოსელიანი"**
_____	_____
გიორგი გომარელი	**ეკა იოსელიანი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	ინდივიდუალური მეწარმე

დანართი N1

აღწერილობა	ერთ. ფასი
საქართველოს კინოლოგიის მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების"- პროექტის დახურვისცერემონიის ორგანიზების მომსახურება	
სცენა (რკინის და ხის კონსტრუქცია, 24 კვ.მ)	**3500**
გახმოვანება 10კვტ, Das audio, 1 ტრიბუნის მიკროფონი, 1 უსადენო მიკროფონი სადგამით	**3200**
ლედ მონიტორი 24 კვ.მ. P4	**3750**
სინქრონული თარგმნის აპარატურა (ჯიხური, მონიტორი, 30 ყურსასმენი)	**3000**
სინქრონული თარჯიმანი	**1416**
სცენის ლედ ეკრანის შეფუთვა (6*4მ, მილკვადრატის კონსტრუქცია, ბანერი, ბრენდირებული, ფერადი)	**3700**
სცენის ზედაპირის და გვერდების შეფუთვა (30 კვ.მ ზედაპირი,მილკვადრატი, ბანერი, ბრენდირებული ფერადი)	**2200**
პრესბანერი (3*4მ, მილკვადრატი, ბანერი)	**1721.4**
ფოტოების ბეჭდვა (18 ც, 80*60 სმ, პევეხა)	**900**
ყვავილების კომპოზიციები კოკტეილის მაგიდებისთვის (8 ც, ქსოვილით შეფუთული მუყაოს ყუთი 13*13სმ, , სიმწვანე, ეუსტომა, ჯუჯა მიხაკი, გიფსოფილა)	**360**